

ALDA-ს წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები

მაისის პირველი კვირა ALDA-სთვის დამაბული პერიოდი იყო, ასოციაციის წარმომადგენლების ნაწილი მისიით უკრაინაში გაემგზავრა, ნაწილი კი საქართველოში.

2023 წლის 1-დან 4 მაისამდე, ALDA-ს მმართველი საბჭოს წევრი და [Società Cooperativa Sociale Studio Progetto](#)-ს წარმომადგენელი, [ბატონი ანდრეა რილიევო](#), ALDA-ს განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ბატონ მარკო ბოარიასთან ერთად, იმყოფებოდა საქართველოში. ვიზიტი მიზნად ისახავდა პარტნიორული კავშირების განმტკიცებას და ქვეყნის მშვენიერი კულტურის გაცნობას.

ALDA-ს გუნდს უმასპინძლა [ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს](#) აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ხუხუამ, რომელმაც გააცნო მათ ქართული ტრადიციები. ასოციაციის წარმომადგენლები დაესწრნენ ეროვნულ დღესასწაულს „გვირილობა“ -ს(‘ქუთაისქალაქობა’).

ქუთაისში ტრადიციული სახალხო დღესასწაული – „გვირილობა“, იგივე ‘ქუთაისქალაქობა’ ყოველწლიურად, 2 მაისს აღინიშნება. ღონისძიება მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დამკვიდრდა. მისი ისტორია გიმნაზიელ გოგონას, ალექსანდრა ჩიქოვანის ინიციატივას და საქველმოქმედო აქციას უკავშირდება. საქველმოქმედო აქციის მონაწილე გოგონები გვირილებს კრეფდნენ, ყიდდნენ და შეგროვილი თანხით ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანებს ეხმარებოდნენ. სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქში ასობით ადამიანი ჩამოდის მთელი იმერეთის რეგიონიდან. ამ დღეს ქუთაისში სახალხო სეირნობები, თეატრალიზებული წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა გასართობი სანახაობები იმართება.

ALDA-ს ვიზიტი საქართველოში მიზნად ისახავდა პარტნიორული კავშირების განმტკიცებას, ქვეყნის მშვენიერი კულტურის გაცნობას

ღონისძიების გახსნის ოფიციალური ცერემონია [ქუთაისის მუნიციპალიტეტის](#) მერიის შენობაში გამართა. [ქუთაისის](#) მერმა, ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა (ALDA-ს წევრი), უმასპინძლა ასოციაციის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს სამომავლო საქმიანობა და მიზნები.

ამ მშვენიერ ღონისძიებაში მონაწილეობის შემდეგ, ALDA-ს გუნდი შეხვდა **LDA Georgia-ს** თანამშრომლებს. შეხვედრაზე მიმოხილულ იქნა ორგანიზაციის საქმიანობა და მიღწეული შედეგები.

ღონისძიების მეორე დღეს, 3 მაისს ბატონი რილევო და ბატონი ბოარია გაემგზავრნენ ქალაქ ზუგდიდში (საქართველო), სადაც შეხვდნენ [ზუგდიდის მუნიციპალიტეტის](#) მერს (ALDA-ს წევრი), ბატონ მამუკა წოწერიას და მერის პირველ მოადგილეს, ბატონ კონსტანტინე კაკავას.

ბატონმა წოწერიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაძლიერდა თანამშრომლობა თავად ასოციაციასა და მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც 2018 წლიდან გახლავთ ALDA-ს წევრი.

ასევე, ALDA-ს წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ გიგა ფარულავასთან. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგიაზე, რომელიც მოიცავს თვითმმართველობის გაძლიერებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას თვითმმართველი ერთეულების ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ALDA-ს დელეგაციამ ჩაატარა მასტერკლასი ევროკავშირის ფონდების შესაძლებლობებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 ადამიანმა.

სამი ნაყოფიერი და ძალიან ინტენსიური დღის შემდეგ ასოციაციის გუნდმა დატოვა საქართველო. საქართველოში განხორციელებულმა მისიამ კიდევ უფრო გააღრმავა არსებული თანამშრომლობა.

**ადგილობრივი დემოკრატიის გარეშე დემოკრატიული განვითარება
შეუძლებელია- ALDA-ს გენერალური ასამბლეა**

ღონისძიება ჩატარდება **2023 წლის 6 ივნისიდან 9 ივნისამდე**, ეტერბეკში (ბელგია), ეტერბეკის მერიის შენობაში. დღის წესრიგის სანახავად და დასარეგისტრირებლად [იხ ბმული!](#)